ბრძანება:**ბ63. 6324317001**
თარიღი:**12/11/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ

,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ფ''-ქვეპუნქტის მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი არის დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირი, ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრული /დანიშნული პირი/, რომელიც ამ კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებულ ფუნქციებს ასრულებს. ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით,დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა ან დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირებმა, შეიძლება დანიშნონ ან განსაზღვრონ საერთო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილი იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მიერ, თავისი ფუნქციების სრულფასოვანი შესრულება.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის'' კოდექსი-ს 35-ე მუხლის ,, ჟ''- ქვეპუნქტისა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ფ''ქვეპუნქტისა და 33-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად განისაზღვროს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ახორციელებს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ,'' საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს.

3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი